

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 7

ქ.ვანი თავისუფლების N65

5 მარტი 2018 წელი

15 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, თამთა დვალიშვილი, გელა ვარდოსანიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: მალზახ ცერცვაძე, შოთა გიორგაძე, გია ოჩხიკიძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე.

მოწვეული პირები:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი ივანე მამფორია.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის განხილვის შესახებ;

მომხს: ტარიელ ბარამიძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგებისა და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი:01.00) და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი 03.00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ;

მომხს: ივანე მამფორია

3.ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სარეზერვო ფონდიდან წლის განმავლობაში გამოყოფილი და დახარჯული თანხების თაობაზე ინფორმაციის მოსმენის შესახებ;

მომხს: ივანე მამფორია

4.ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხივის შესახებ;

მომხს: ივანე მამფორია

5.„ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილებების წესის დამტკიცების შესახებ“.

მომხს: ივანე მამფორია

6.საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანამათლებლო პროექტის - „ფოტოგამოფენა საგანძური“ ს შესახებ;

მომხს: ტარიელ ბარამიძე

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ტარიელ ბარამიძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის განხილვის შესახებ და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, თავის საქმიანობას ახორციელებს სამსახურეობრივი მოვალეობისაგან მოუწყვეტლივ და უსასყიდლოდ.

საკრებულოს წევრის ხარჯების ზღვრული ოდენობა არ აღემატება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15 %-ს და შეადგენს თვეში 447 ლარს. მათ შორის

საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების რიგით სხდომების მუშაობაში მონაწილეობისათვის საკრებულოს წევრს აუნაზღაურდება - 250 ლარი.

ამომრჩევლებთან გამართული შეხვედრებისათვის - 100 ლარი.

საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის სხვა დავალებების შესრულებისათვის - 97 ლარი.

გადაწყვიტეს:

კომისიამ განიხილა მზარი დაუჭირა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესს.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად
/დანართი N 2/

მომხრე - 7
წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგით მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგებისა და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი:01.00) და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი 03.00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ და განმარტა, რომ წარმოდგენილ საკითხში არის შვიდი ძირითადი შენიშვნა რომელზეც მიმდინარეობს რეაგირება და შესაბამისი პასუხის მომზადება.

გადაწყვიტეს:

კომისიამ განიხილა ვანის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგებისა და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი:01.00) და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი 03.00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების აუდიტის ანგარიში.

/დანართი N 3/

მომხრე - 7
წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგით მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სარეზერვო ფონდიდან წლის განმავლობაში გამოყოფილი და დახარჯული თანხების თაობაზე ინფორმაცია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით 2017 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდის განკარგვა განხორციელდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი წესისა და გამგებლის ბრძანების საფუძველზე. სარეზერვო ფონდის გეგმიური მაჩვენებელი 120,0 ათას ლარს შეადგენდა. წლის განმავლობაში ფონდიდან გამოყოფილი საკასო შესრულებამ 118,8 ათასი ლარი შეადგინა. აქედან საქონელისა და მომსახურების მუხლით 7,9 ათასი ლარი მიიმართა, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 15,7 ათასი ლარი, ხოლო სხვა ხარჯების მუხლით 95,2 ათასი ლარი.

გადაწყვიტეს:

კომისიამ განიხილა და მხარი დაუჭირა ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სარეზერვო ფონდიდან წლის განმავლობაში გამოყოფილი და დახარჯული თანხების თაობაზე ინფორმაციის მოსმენას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად
/დანართი N 4/

მომხრე - 7
წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხივა და განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2016 წლის 30 დეკემბერს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N31 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 6800,0 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 2126,9 ათასი ლარის მოცულობით.

გადაწყვიტეს:

კომისიამ განიხილა და მხარი დაუჭირა ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხივას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გასატანად

/დანართი N 5/

მომხრე - 7
წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილებების წესის დამტკიცების შესახებ“ და განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნალების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესი შემუშავებულის საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე.

ერთი პრიორიტეტიდან სხვა პრიორიტეტზე ასიგნებების გადანაწილება, გარდა ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის, წინა წლების დავალიანებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებისა, შეიძლება მხოლოდ დამტკიცებულ წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს „ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილებების წესი.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ტარიელ ბარამიძემ კომისიის წევრებს გააცნო საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანამათლებლო პროექტის - „ფოტოგამოფენა საგანძური“ ს შესახებ და განმარტა, რომ ფოტოგამოფენა „საგანძური“ შექმნა 2008 წელს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია II -ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის დაფინანსებით ასევე საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელშეწყობით.

გადაწყვიტეს:

კომისიამ განიხილა და მხარი დაუჭირა საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანამათლებლო პროექტის - „ფოტოგამოფენა საგანძური“ ს განხორციელებას.

კომისიის გადაწყვეტილებით დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები მოწონებულია კომისიის მიერ და საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე დასატანად.

კომისიის თავმჯდომარემ ტარიელ ბარამიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე